



კონსტანტინე გამსახურდია

ზოგიერთი მწერალი ზღვას ჰგავს თავისი მღელვარებით, ზოგი — მთას, დიდებულებითა და ზვიადობით, ზოგი კიდევ — ნაირფერადი ყვავილებით მოჩითულ, თვალუწვდენელ, მშვენიერ ტრამალს.

გამსახურდია არც ერთ მათგანს არ ჰგავს.

იგი ცეცხლგამძლე აგურით ნაგები მარადიული ცეცხლის შექნახველი, მკვიდრი ბუხარია.

როგორც ქარბუქში დამზრალსა და იმედგადაწყვეტილ კაცს მისწვდება ხოლმე შორეული საკვამურიდან აღმომხდარი კვამლის სასიცოცხლო სუნთქვა და მიაშურებს ხოლმე მას სულის გასათბობად, ისე დგას გამსახურდია, თითქმის საუკუნეა, თავისი ხალხის იმედად ქართულ ლიტერატურაში.

ხალხში მწერლებზე ასეთი წარმოდგენაა: მწერალმა ყოველ წუთს, ყოველ წამს, სული უნდა უბეროს ქართულ კერას, რომ არ ჩაქრეს იგი, და არ განეღვანოს ცეცხლი ეროვნული.

გამსახურდია თავად არის ეს ცეცხლი, სახმილი, შეშა და ბუხარი მოგიზიხე.

იგი ოქრომჭვდელია ქართული სიტყვისა და თუმცა მის სიტყვას სინატიფე და სილამაზე არათუ აკლია, არამედ ზედმიწევნითაც აქვს მომადლებული, იგი დაზგას კი არ უზის, ზიზილ-პიპილებს, საყურეებს, ბეჭდებს და სამაჯურებს კი არ ჭედს და აგვირისტებს, იგი მკლავებდაკაპიწებული, ცეცხლისაგან სახეგარუჯული გრდემლთან დგას უროთი ხელში და სამეფო მუზარადებს, საომარ აბჯარს, ჯაჭვის პერანგებს, სატყვერებსა და ფარ-შიმშერს სჭედს ლურჯი ფოლადისაგან.

აი, ვინ არის კონსტანტინე გამსახურდია.

იგი დასავლეთში დიდების მოსაპოვებლად და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არ წასულა ახალგაზრდობაში. იგი იმ სენის, წყლულის საიდუმლოსა და მიხეზთა დასადგენად წავიდა განსწავლულ ევროპაში, რომლითაც შეპყრობილი იყო იმჟამინდელი მისი მამული. არჩევანი შეუცდომელი იყო. საქართველოს ავადმყოფობა და სატკივარი საკაცობრიო ტკივილი აღმოჩნდა, მაგრამ გამსახურდია სხვაზე აღრე მიხვდა, რომ ამ სენის განმკურნებელი, ერთი რამ საყოველთაო წამალი არ არსებობდა, რომ ყველა ერს ამ სენისათვის საკუთარი ეროვნული ბალახებით, მცენარეებითა და წყლებით უნდა ემკურნალა, და ამიტომ კვლავ თავისი ერის წიაღში დაბრუნდა.

ცლუნება მაინც დიდი იყო. წისქვილიდან გამოსულ, ფქვილით



დამტკვერილ კაცს ჰგავდა უცხოეთიდან დაბრუნებული, ათასნაირი იზმებით დაზუნძლული გამსახურდია, მაგრამ ამპარტავანი კაცი და ამპარტავანი მწერალი იყო ბატონი კონსტანტინე. მან ბევრი იფერთხა, იფერთხა და როდესაც მთლიანად ჩამოიფერთხა ის მტკვერი, იგი მთელი თავისი სულიერი აზოვანებით, კოლხური სიკოხტავით, მშვენიერი აღნაგობითა და სამოსით წარსდგა ქართველი ხალხის წინაშე.

...და იმ დღიდან მოედო იგი საქართველოს მთასა და ბარს, როგორც ჯადოქარი მკურნალი, იგი დაჩოქილი ეძებდა ყველა ქართული სიტყვის გვირგვინში სამკურნალო ნექტარს, სწორედ ამიტომ ედებოდა ყოველი მისი სიტყვა გულს, როგორც მაღამო და ჰკურნავდა სულის ჭრილობას.

იგი მედიუმივით უხმობდა წარსულიდან წინაპართა სულებს, ემუდარებოდა მათ, დაებრუნებინათ თანწყოლილი და ჩვენ მიერ დავიწყებული ყოველი სიტყვა, რათა ამოგარდნილი მარგალიტით კვლავ ჩაესვა ქართული ენის ძვირფას ბეჭედში. ამიტომ არის გამსახურდია ის უნიკალური პროზაიკოსი, რომლის შემოქმედება ზეპირად იცის ხალხმა და მათ შორის მეც, რაღა თქმა უნდა.

განსაცვიფრებელი ფენომენია, პროზა ზეპირად, ეს მხოლოდ ზოგიერთი გენიოსის ხვედრია. მათ შორის დგას კონსტანტინე გამსახურდია.

წედან მოგახსენეთ, ზეპირად ვიცი-მეთქი გამსახურდიას შემოქმედება. იქნებ გადავაჭარბე, მაგრამ ყველა სტრიქონი მისი, რომელსაც კი შეხებია სტამბის საღებავი, არ არის ქვეყნად, მე რომ არ წამეკითხოს. მიუხედავად ბატონი კონსტანტინეს ყველა ნაწარმოების უზომოდ მაღალნიჭიერებისა, ვფიქრობ, რომ მან მაინც ორი შედეგური დაუტოვა თავის ხალხს: „მოვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“.

ორი მთავარი ტენდენცია გამოიკვეთა შემოქმედისა ამ ორ ნაწარმოებში:

პირველში მან მთელი თავისი თაობის ახალგაზრდული ენერგია, ექსპანსია, სისხლისა და აჯანყებული სულის მოძრაობა და რევოლუციური სულისკვეთება ჩადო. იგი, ვითარცა ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და ვაჟა შესცქეროდნენ სულის თრთოლვით ხმელი წიფელის ფესვებზე აღმოცენებულ ახალ ყლორტს, ისე შესციცინებდა საქართველოს „მოვარის მოტაცებაში“. ამიტომ ჩემთვის გასაგებია ის თავგანწირვა, რომლითაც იცავდა იგი ამ შედეგურს მაშინდელი ტვინგადასიპული ოპონენტებისაგან. და აქ, გამსახურდიას სასახელოდ



უნდა ითქვას, სხვათა მსგავსად მან უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში კი არ გაგზავნა საკუთარი შემოქმედების ნაყოფი, არამედ თავად დაიცვა, გადაარჩინა, გაზარდა და ისე დაუტოვა შთამომავლობას.

მეორეში გამსახურდია ქართველ ხალხს მოველინა, როგორც საფიხვნოს თავსა მჯღომარე ბრძენი კაცი. ათასსაუკუნოვანი ერის სიბრძნით, გამოცდილებით გამობრძმედილი და სხივმოსილი. ზოგიერთივით პროვინციული, შემაწუხებელი მაღალფარდოვანი და მოჩვენებითი პატრიოტიზმის მქადაგებელი კი არა, არამედ, როგორც მარადთოვლიანი კავკასიონის მწვერვალებიდან ჩამონაჟური მდინარე, რომელიც სასიცოცხლო საზრდოს აძლევს ქართულ მიწაზე ამოზრდილ ნერგს.

იგი სიცოცხლეშივე მოესწრო ამ ნერგის ნაყოფს და კვლავ ათასგზის იხილავს მას, ვითარცა ცოცხალი, რადგან კლასიკოსი მწერლები იმით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ნიჭიერი და, თუ გნებავთ, ძალიან ნიჭიერი მწერლებისაგან, რომ მათ ერთდროულად სამ დროში უწევთ ცხოვრება, წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ხოლო ამ სამ დროთაგან უფროვე მომავალში.

მომავლის მწერალია კონსტანტინე გამსახურდია.

მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა, გლეხი, როგორც მეფე და რაინდი, ისე შემოიყვანა ქართულ ისტორიულ რომანში. მიწის მხენელსა და მიწის მუშაკს დაადგა თავს ერის გადამრჩენის სამეფო გვირგვინი, და ამით გაასწორა ის უსამართლობა, რომელმაც თავის დროზე შეაწუხა დიდი ილია.

შემამრწუნებელი სიმართლის თქმა იცოდა ბატონმა კონსტანტინემ: ისევ და ისევ ერის სასიკეთოდ.

„ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა... პიპა.

...მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვეყავდა, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დაკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას — ვვაგები...“

განსაცვიფრებელი იყო ოცდაათიანი წლების ქართულ პროზაში თანამედროვეობის ისეთი მძაფრი აღქმა, მხატვრულ ფერებში მოქცევა და მათი ლიტერატურაში გადმოტანა, როგორი გაბელულებითაც ამას გამსახურდია აკეთებდა.

ვოლტერის ნათქვამს მოგახსენებთ: „ჰომეროსის დროს წიგნი ისეთივე იშვიათობა იყო, როგორც ჩვენს დროში კარგი წიგნი“.

ასეთ წიგნებს წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ: მცდარია აზრი, თითქოს რუსთაველ-



იდან დღევანდლობამდე ერის ხიდი გამსახურდიამ გადო, — მცდარია იმიტომ, რომ რუსთაველიდან დღემდე ნაპრალი, ხრამი და უფსკრული არ ყოფილა, რომ ვინმეს ზედ ხიდები ეშენებინა. იყვნენ გურამიშვილი, საბა-სულხანი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და სხვანი.

გამსახურდიას არ სჭირდება ხიდების მშენებლის მოგონილი პროფესია; იგი მარგალიტის მამიებელი იყო და ქართული ერის უსაზღვრო ოკეანის ფსკერიდან სხვაზე მეტი მარგალიტი ამოჰქონდა და აბნევედა ქართული პროზის ნოყიერ ხნულში. ეს იმიტომ, რომ სხვაზე ძლიერი ფილტვები ჰქონდა და სხვაზე უფრო გამჭრიახი თვალი.

გენიოსის მოსვლას ერი იმავე წუთში უკეთებს რეგისტრირებას, ისე, როგორც სეისმოლოგიური სადგურები — მიწისძვრას. და რაც უფრო ძლიერია ადამიანი, მით უფრო ძლიერია მიწისძვრა. ამიტომ იმსხვრევა გენიოსის გარშემო ყველა ბუტაფორიული ლიტერატურული სასახლე, კომპი, და რჩება მხოლოდ მედგარი, კლდეზე ნაგები და მკვიდრი შენობა.

ეს ჩვენზე კარგად იცოდა კონსტანტინე გამსახურდიამ, ამიტომ ინგრევა მის უკვდავ რომანში „დიდოსტატის მარჯვენაში“ მიწისძვრის შემდეგ ნახევარი ქართლი, ხოლო სეუტიცხოველი დგას დალოცვილი, აღნაგი, მაღალეროვანი, ძლიერი, ნათელმოსილი ვახისწუქურთმიანი, დიდოსტატის კონსტანტინე არსაკიძის მარჯვენით ნაგები და დამშვენებული.

ასეთია გამსახურდიას შემოქმედება და თავად ბატონი კონსტანტინეც.

მიუხედავად იმისა, რომ ერმა შეასრულა თქვენი ანდერძი და კოლხური კომპის ეზოში მიაბარა თქვენი ცხედარი მიწას, თქვენი დიდებული სახელის ხსენებისას ჩვენ მაინც მთაწმინდისაკენ ვიფურებით, ბატონო კონსტანტინე, რადგან თქვენ მაინც იმ თქვენს თანამოკალმე წინაპარ ატლანტთა გვერდით დგახართ, რომელთა ძლიერ მხრებზეც ასვენია ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მაღალი ტაძარი.

ამიტომ არის თქვენი სახელი უკვდავი, ბატონო კონსტანტინე!